სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

15 აგვისტო 2025

N 21/7986

შპს „„რუსთავის აზოტს“

მის: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. N2

ელ.ფოსტა: info@rustaviazot.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა თქვენი ა/წ 4 ივნისის N5557 განცხადება, რომლითაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილია სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კომპანია საკუთარ ინსინერატორში ახდენს ნარჩენების ინსინერაციას. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ინსინერაციის შედეგად მიღებული ნარჩენების შესახებ (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია მოსალოდნელი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდებისა და პირობების შესახებ, რომელიც შესაბამისობაში იქნება „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29/03/2016 წ. N145 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ფოტო-მასალით;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია (გვ. 30) გაფილტრული წყლის (ფილტრატი) ხარჯის მაჩვენებელის შესახებ (111 $მ^3$/სთ) დაზუსტებას საჭიროებს, ვინაიდან ამავე გვერდზე მითითებულია, რომ შერეული ფენის სისტემის თითოეულ რეზინის სვეტს მიეწოდება 110 $მ^3$/სთ;
- ავტოგასამართი სადგურიდან ნახშირწყალბადების გაფრქვევების ანგარიშისას გათვალისწინებული არ არის ბენზინის და დიზელის საწვავით ავტოტრანსპორტის ან/და შესაბამისი ტექნიკის გამართვის ოპერაციები, რაც მნიშვნელოვანია გაფრქვევის სიდიდეების ანგარიშის სიზუსტისთვის;
- გაბნევის ანგარიშში დამატებით გათვალისწინებულია ახლომდებარე ობიექტებიდან გაფრქვეული ისეთი მავნე ნივთიერებები (ელემენტური გოგირდი, არაორგანული მტვერი (>70% SiO_2), მანგანუმი და მისი ნაერთები), რომლებიც ამავე გაბნევის ანგარიშის თანახმად, შპს „რუსთავის აზოტის“ საწარმოდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებთან და არც ჯამური ზემოქმედების ჯგუფებთან კუმულაციურ ეფექტს არ ქმნის. აღნიშნული საკითხი დაზუსტებას საჭიროებს;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კაპროლაქტამის საამქროში განთავსებულია ფუნგიციდების განყოფილება, რომელშიც მიმდინარეობს სპილენძის სულფატის (შაბიამანი) კრისტალჰიდრატის წარმოება. გაცნობებთ, იმ აღნიშნული უბნისთვის შემუშავებული და საქართველოს გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იყო ხანგრძლივი დახურვის/შეწყვეტის გეგმა. ამასთან, საქმიანობაზე 19.02.2021 წ. N2-224 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, იმ ეტაპზე სპილენძის სულფატის (შაბიამანი) კრისტალჰიდრატის წარმოება არ ფუნქციონირებდა, რის გამოც გაფრქვევის გ-23 (სპილენძის სადნობი აგრეგატი) და გ-26 (შაბიამნის წარმოების დანადგარი) წყაროებზე შესაბამისად არ გავრცელდა მავნე ნივთიერებათა კანონმდებლობით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის ვალდებულება. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ქიმიურ საწარმოში დღეისთვის ფუნქციონირებს კაპროლაქტამის საამქროში განთავსებული ფუნგიციდების განყოფილება, რომელშიც მიმდინარეობს სპილენძის სულფატის (შაბიამანი) კრისტალჰიდრატის წარმოება. შესაბამისად, როგორც კაპროლაქტამის საამქროს (შაბიამნის წარმოების უბნის), ისე გაფრქვევის გ-23 და გ-26 წყაროების სტატუსი საჭიროებს დაზუსტებას და მათი ფუნქციონირების შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმაში ასახვა და მათზე უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის წარმოების განსაზღვრა;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა არ არის სათანადოდ დეტალიზებული, გაფრქვევის ყველა წყაროსა და მავნე ნივთიერებაზე კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის მოთხოვნების თვალსაზრისით. შესაბამისად, მონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის ვალდებულება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნითიერებათა გაფრქვევის ყველა წყაროსა და მავნე ნივთიერებებზე;
- წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, 2025 წლის 22 ივლისს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა და საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება, რომლის დროსაც გამოვლინდა, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი უკვე განხორციელებულია. ამასთან, სააგენტოში გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ,,მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ წარმოდგენილი იქნა წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები (წერილი N7336), რომლის მიხედვითაც, ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს მისი ექსპლუატაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ.

როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ, გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა შენიშვნები და მოსაზრებები. დანართის სახით გიგზავნით აღნიშნულ შენიშვნებს და მოსაზრებებს. გთხოვთ განიხილოთ და მათი გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია სააგენტოში წარმოადგინოთ ცხრილის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დამატებითი ინფორმაციის (მ.შ. განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის) სააგენტოში წარმოდგენა. წინამდებარე შენიშვნების მიხედვით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემასთან დაკავშირებით.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/7986-21-2-202508151435